ელი˚ადი მე-2

ტელეფონი № 76.

კვირა, 18 დეკემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

ბაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ერთ 15 კ. ... 20 კაპ. ... 2 სააათ ... 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ან. მიქელაძის სახლებში.

№ 511 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 511


## დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის


გაზეთის ფასი: ერთის წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 50 კაპ.

თვიური ეხლის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღია დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
დეპეშისათვის: ქუთაისი „სამშობლო".

რედაქტორი — ი. თ. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო".


კვირას, 18 დეკემბერს, დილის 11 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გმირულად მოკლულის კავკასიის მეოთხე პოგრანიჩნი პოლკის, ტყვიის მფრქვეველთა რაზმის უფროსის, პოდპორუჩიკის

**ვალენტინ ბესარიონის ძის ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ქსენია, ვაჟი ლევანი და გულდათუთქულნი მშობლები: ბესარიონ თომას ძე და სუსანა პეტრეს ასული ლორთქიფანიძეები, დები ნინო და ელისაბედ (ლიზა) და ძმები ბიქტორი და გიორგი ბესარიონის ძენი ლორთქიფანიძეები.


### ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 15 დეკემბრიდან

რუსის ჯარი სალონიკში სამხედრო ნამდვილიდან

**უცხო სული**

თანამედროვე დრამა 4 ნაწ.

ინგლისური კლიტე სახუმარო

ანონსი: ორშაბათიდან, 16 დეკემბრიდან ახალი პროგრამა.

ნაჩვენები იქნება უმაღლესი ნებართვით ცნობილ პოლკოვნიკ უფროს ესაძეს მიერ გადაღებული კავკასიის შამატი არმიის

**გასაოცარი გმირობანი** ეს სურათი ბრძოლის ველზეა გადაღებული, ...ზარბაზნებისა და თოფის სროლის დროს.

ეს სურათი კავკასიის ჯარის მამაცობის მთლიან სურათს იძლევა.

**ექიმი** ი. ჩარბძოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.
ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე გოკიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ხერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ და საღ. 6—8 საათ.
რ-მ ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ

**ექიმი** ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩანანიძის (წულეისკირისეული)

**ექიმმა** ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე
პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3
ტელეფონი № 101. ს.

**ექიმი** მულინი, ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაყარიძისა.

**ოდესის სამეანო კურსებ დამთავრებული**

**ბებია** ს. ს. ნემსაძისა უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, ბებეღაშვილის სახლები, ფოსტის მახლობლათ

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული, მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გაღმა გომბიტლის კარებთან ჭყიშვილის სახლში მიხეილ კაშიას, რ... მ ... მე მომარჩინ...

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ხალებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

ს.-მ. ბ. მიწის მზომელი **ვ. ს. ასათიანი**

ადგენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ-აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ჩვ. მ." და „სამშ." რედაქცია; ან პროვიზ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ. ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან.

დოქტორი მედიცინისა

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე.
გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**იყიდება** სახლი და მამული 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მიხეილის ქ. № 113, ექიმ გოკიელოვს.

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო"-ს რედაქციის ზევით მიიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. ... ზ. თელ.

„სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვების შვილები".

ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის" საშუალებით შეიძინა საუკეთესო ხარისხის (ინგლისის) დიდძალი პარტია

**შაბიაბანი და გოგირდი.** შაბიაბანის შეძენა შეუძლიათ: სასოფლო ბანკებს, კოოპერატივებს და კერძო მევენახეებს ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის" მიერ მიცემული მოწმობით, რომელიც საქონლის შეძენისას წარმოდგენილი უნდა იქნეს სავაჭრო სახლში. 6—2

### ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 15 დეკემბრიდან

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები

**ა ფ თ რ ე ბ ი (ვამპირები)** მე-3 სერია

გამიანურებული სიყვარული სახუმარო

ანონსი: ორშაბათიდან, 19 დეკემბრიდან საუცხოვო მხატვრული დრამა.

**ცოდვა** თანამედროვე დრამა 5 ნაწ. ცნობილ მსახიობთა მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით.

### ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 30.

კ ვ ი რ ა, 18 დ ე კ ე მ ბ ე რ ი.

წარმოდგენილი იქნება:

**ვიდრე ხვალ უფალო?**

***(Quo Vadis).***

...ქეს მოქმედებათ, თარგმანი აკ. წერეთლისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს, მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ.
ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., გუგუშვილი ალ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ე.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია

მორიგი წევრნი გამგეობისა: პ. უზნაძე და ალ. წერეთელი.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა

წარმოდგენა დაიწყება საღ. სრულ 8 საათზე


## განცხადება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მცხოვრებლებზე **შაქრის** გასაყიდათ მან შემოიღო ეგრეთ წოდებული

### „ბარათების სისტემა"

ამისათვის ის იწვევს **ოჯახის უფროსებს**, რომელთაც სურთ ბარათების მიღება, გამოცხადდენ ქალაქის გამგეობის სადგომში და განუცხადონ თავისი ოჯახის მდგომარეობა (რამდენი სულია ოჯახში) ბარათების შემდგენელთ. უკანასკნელნი, ბარათებში საჭირო ცნობების აღნიშვნის შემდეგ, გადასცემენ მათ ოჯახის უფროსებს, რომელთაც უნდა გადიხადონ ორ-ორი შაური.

ქუთაისში არსებულ **დაწესებულებათა უფროსებმა** ქალაქის გამგეობიდან უნდა წაიღონ ბარათები, შეავსონ საჭირო ცნობებით და დაურიგონ მოსამსახურეებს; ქალაქის გამგეობას კი უნდა დაუბრუნონ ბარათების ნაკიდური („კორეშოკი") და თითო ბარათის ფასი ორ-ორი შაური.

ბარათების შედგენა მოხდება: **კვირას**, 18 დეკემბერს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე; ხოლო **სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს**—საღამოს 4 საათიდან 8-მდე. იმ შემთხვევაში, თუ ამ ოთხ დღეში ვერ მოესწრო ბარათების შედგენა მუშაობა შემდეგს დღეებშიაც გაგრძელდება.

**ამასთან ქალაქის გამგეობა აფრთხილებს მცხოვრებლებს, რომ ის პირნი, რომელნიც ყალბ ცნობებს მიაწვდიან ბარათების შემდგენელთ თავისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ან ერთ ბარათზე მეტს მიიღებენ, სრულიად დაკარგავენ ბარათებს და თან სასტიკად დაისჯებიან ...ისხლის სამართლის წესით.**

## მსოფლიო ომი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** ოფიციალი ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. ზარკუვის აღმოსავლეთით და პენიაკის მიდამოებში, გარბუზოვის მხარეს და გუკალოვცე ავგუსტოვკის ტყეში, მოპირდაპირე მედგარად უშენდა ჩვენს სანგრებს მძიმე ზარბაზნებსა და გაუბიცებს. მდ. ნარაიუვკაზე (ზოლოტოი ლიპის მარცხენა ტოტია) ჩვენი მზვერავები გაღმა გავიდნენ სოფ. სვისტენნიკთან, მტრის დარაჯები განდევნეს და გამოღმა გამოზიდეს მტრის დამზადებული ეკლიანი მავთულები. გალიცის სამხრეთ აღმოსავლეთით, სემიკულესთან მოპირდაპირემ მდ. დნესტრზე გადმოსვლა სცადა, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. გლიასხუტედან სემესმზომდე, მოლდავიის საზღვარზე, მოპირდაპირემ ძლიერის ჯარით შემოგვიტია, ჩვენს ჯარს უკან დაახევინა მდ. დოფტიანის ველის სამხრეთით და ჩრდილოეთით აილო მაღლობები, აგრეთვე ხელთ იგდო მაღლობები მდ. ოიტუზის ველში სესმეზოს სამხრეთით მოპირდაპირის შემოტევა შევაჩერეთ.

ზარბაზნებით ჩამოვაგდეთ მტრის საფრენი, რომელიც ოკნას მიდამოებში დაეცა. მფრინავი და მეთვალყურე დავატყვევეთ.

**კავკასიის ასპარეზი.**

ვანის სამხრეთით ატამანის სამხრეთით მდებარე მთელი უღელტეხილი დავიჭირეთ. ოსმალებმა სოფ. ილისაკენ დაიხიეს.

**რუმინეთის ასპარეზი.**

ცხარე ბრძოლის შემდეგ რომელშიაც მტრის ძლიერი ჯარი იღებდა მონაწილეობას, ჩვენი ჯარი იძულებული გახდა რიმნიკსიერატის რკინის გზის მიდამოები დაეტოვებინა და მდ. რიმნიკის გამოღმა გადმოსულიყო. დუნაის სამხრეთით მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ. ვიზირუს დასავლეთით ბრძოლაში მონაწილეობდა ინგლისის ჯავშნიანი ავტომობილები. ამ ავტომობილთა რაზმის უფროსი ქრისტეშობისთვის 13 სა ბრძოლაში დაიჭრა, მაგრამ 14 ქრისტეშობისთვის ბრძოლას მაინც ხელმძღვანელობას უწევდა და მტერი უკან გააბრუნა. დობრუჯაში მტერი ყველა სადარაჯოებზე მოვიგერიეთ, გარდა სოფ. რაკელისა, რომელიც მოპირდაპირემ აილო.

**15 დეკემბერი**

**რომი.** იტალიელების მთავარბანაკის ოფიც. ცნობა. კარსოზე, ფელს... მთის სამხრეთიით, მოულოდნელის იერიშით 300 ადლის სიღრმეზე შევიჭერით მტრის ბრძოლის ხაზზე. 9 ყუმბარის ნათხარი ავიღეთ. ამ ადგილებში მივაგენით 150 ყუთს ზარბაზნის ყუმბარებით.

**პარიზი.** მთავრობამ ჟოფრს საფრანგეთის მარშლის წოდება უბოძა სამსახურისათვის. მახლობელ აღმოსავლეთის ლაშქარი საფრანგეთის სამხედრო მინისტრს დაექვემდებარა.

**16 დეკემბერი**

**პარიზი.** დღის ოფიც ცნობა. ვაშროვილის ხაზზე მოპირდაპირე ძლიერს სროლას აწარმოებდა ზარბაზნებით.

11 ქრისტიშობისთვეს შონის მახლობლად მტრის ერთი საფრენი ჩამოაგდო პოლრუჩიკმა ერტომ.

**იასი.** ახალი სამინისტრო შესდგა ლიბერალთან და კონსერვატორებთან შეთანხმებით. სამინისტროში აირჩიეს: ბრატი-

ანუ—პრემიერად და საგარეო საქმეთა მინისტრად, კოკეონესკუ, კოსტინესკო, ფოსტ-ტელეგრაფის მინისტრად, კანტაკუზენი—იუსტიციის მინისტრად, ისტრასი საზოგადო სამუშაოთა მინისტრად.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

— **ზავის გარშემო.** სკანდინავიის სამივე სახელმწიფოს წარმომადგენლები თათბირობენ ზავის ჩამოგდების საკითხის შესახებ მათ აზრათა აქვთ მხარი დაუჭირონ ვილსონს და მათაც მიმართონ ნოტით მებრძოლ სახელმწიფოებს.

— ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობას განუცხადებია, რომ იგი ზავის ჩამოგდებაში ცენტრალ სახელმწიფოების სახელით გამოვა შუამავლად.

— ინგლისის დიპლომატიურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ახლო მომავალში გერმანია მოკავშირეებს ახალ წინადადებით მიმართავს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

— ნეიტრალურ ქვეყნების გაზეთების აზრით გერმანეთს რომ ზავის სურვილი არ გამოეცხადებინა იმ შემთხვევაშიაც კი ვილსონი ზავის ჩამოგდების მოთავედ შუამავლად გამოვიდოდა.

— გერმანელები მოუთმენლად ელიან მოკავშირეთა პასუხს, თუმცა წინდაწინვე იციან, რომ სახეირო არაფერი იქნება მასში.

— რომის პაპს უარი უთქვამს ვილსონის ნოტის მაგვარ მოწოდების გამოშვებაზე.

— სტოკჰოლმში საზავო მიტინგი მომხდარა, რომელზედაც 4 ათასი კაცი დასწრებია და ზავის ჩამოგდების შესახებ პარაკლისი გადაუხდიათ.

— „რუს. სლოვო“-ს აზრით მოკავშირეების სახელით საფრანგეთი უარს შეუთვლის ვილსონს და განუმარტავს მოკავშირეთა ომის მიზნებს და ზავის პირობებს.

— „ბერლინსკე ტიდენდე“ ორიგინალურ აზრს გამოსთქვამს ვილსონის საზავო წინადადების შესახებ. იგი სწერს: ვილსონის ნოტა პირდაპირ გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული და მისი მიზანი იყო გამოემჟღავნებინა ბეტმან ჰოლვეგის ნამდვილი სულის კვეთებაო. ამ გაზეთის აზრით ხსენებული ნოტა ცხად ჰყოფს გერმანელების წინადადება გულწრფელი იყო თუ ერთგვარი პოლიტიკური მანევრი.

— **საბერძნეთი.** კოპენჰაგენის ცნობების მიხედვით მოკავშირეებმა კანონიერად სცნეს საბერძნეთში ვენიზელოსის მთავრობის არსებობა.

— ორშაბათიდან ვენიზელოსის მთავრობის განკარგულებით საბერძნეთის რამდენიმე კუნძულმა კიდევ მიიღო დადგენილება დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ.

— ათინაში ვენიზელოსელთაგან სამი კვირის განმავლობში დაუტუსაღებიათ 268 კაცი; აქედან 91 გაუნთავისუფლებიათ. დანარჩენი სამრთალში მიუციათ.

— მოკავშირეთა წარმომადგენლები შეყრილან კრეისერ „ბრუირ“-ზე და შეუდგენიათ ახალი ნოტა, რომელიც საბერძნეთის მთავრობას უნდა წარუდგინონ.

—22 ნოემბერს, როდესაც მოკავშირეებმა საბერძნეთის მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინეს, ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტები მეფე კონსტანტინეს ერთგულ ჯარს დაკავებული ჰქონდა და მხოლოდ ბრძანებას ელოდა, რომ მოკავშირეთა ჯარს ზურგიდან დასცემოდა.

— ბერძნებს ისევ გერმანეთის იმედი აქვთ და თავის ხსნას ხედავენ გერმანელთა ძლიერ ლაშქარში, რომელსაც ახლო მომავალში მოელიან სამხრეთ მაკედონიაში და ამის მოლოდინში სცდილობენ თავის ძალები არ დაქსაქსონ. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეებმა ჯარის დატხოვნა მოსთხოვეს, ამას არ სჩადიან, თვალთმაქცობენ და დღისით, რომ საბერძნეთის შუაგულში გზავნიან ჯარს, ღამ ღამობით კიდევ უკან აბრუნებენ დახურულ ვაგონებით.

— **სხვადასხვა ამბები**. ინგლისში არსდება ჰაერში მოგერიების სამინისტრო, რომელსაც დავალებული ექნება ინგლისის მიწა-წყლის ცეპელინების თავდასხმისაგან უზრუნველყოფა.

## დემოკრატია ომის შემდეგ.

იქნება თუ არა დემოკრატია, როგორც განსაკუთრებული, განთვითებული კლასი, ომის შემდეგ?

უეჭველია. რადგან ისტორიამ არ იცის ისეთი დრო, რომ საზოგადოება კლასებად დაყოფილი არ ყოფილიყო. ძველ საბერძნეთში და კართაგენში, ძველ რომში და საშუალ საუკუნეთა ევროპაში ისე, როგორც დღევანდელ საზოგადოებაში. ყოფილა ბრძოლა ერთი მხრით ვაჭართა და მემამულეთა და მეორე მხრით მუშათა და დანარჩენ კლასთა შორის.

მაშ მუშათა კლასი, დემოკრატია, საზოგადოების ულარიბესი ნაწილი, ყოველთვის განსაკუთრებულ კლასად გამოდიოდა. და, თუ აქამდის ასე იყო, ცხადია, ასე იქნება მომავალშიაც.

უნდა აღვნიშნოთ კი, რომ დემოკრატია სხვადასხვა დროს სხვადასხვა იდეალისთვის იბრძოდა. სულ ერთი არ არის რომის პროლეტარიატისა და ახლანდელი პროლეტარიატის მოთხოვნანი, ძველი ქვეყნების მონებისა და საშუალ საუკუნეთა გლეხების მოძრაობანი. ერთი სიტყვით, დემოკრატიას ყოველთვის ერთიდაიგივე იდეალი არა ჰქონიადასახული.

მეცხრამეტე საუკუნეში დემოკრატია შუა გაიყო დ დაუძლურდა: საქარხნო მუშები გლეხებს გამოეყვენ და დაუპირისპირდენ, რადგან კერძო საკუთრება უარ ჰყვეს და კომუნიზმი, ანუ სოციალიზმი, ე. ი. კოლექტიური, საზოგადოებრივი, წარმოება და თანასწორი განაწილება, აღიარეს, რომელსაც გლეხობა ვერ შეურიგდა. ეს მოძრაობა ინტენსივობის მიუხედავად სასტიკად დამარცხდა და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც მუშები სოციალიზმს, ანუ კომუნიზმს, უტოპიად, განუხორციელებელ საოცნებო ნატვრად, აღიარებენ.

საკვირველია, რომ სოციალიზმის შესაძლებლობა მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს უფრო სწამდათ, ვიდრე ბოლოს. ფურიე, ოუენი, სენსიმონი და მათი მოწაფეები და მიმდევრები დარწმუნებული იყვნენ, რომ სოციალიზმი მათს სიცოცხლეშივე განხორციელდებოდა. ლასსალი და კარლ მარქსი კი ამბობდენ: არ ვიცით როდის განხორციელდება ეს სოციალური წესწყობილებაო, ამისდა მიუხედავად მარქსს შესაძლებლად მიაჩნდა მისი განხორციელება უფრო ადრე, ვიდრე რუსეთში სათემო მიწათმფლობელობა დაინგრეოდა. წარსული საუკუნის ოთხმოცდამეათე წლებში ენგელსი და ლიბკნეხტი წინასწარმეტყველებდენ, გერმანიაში სოციალიზმი რამდენსამე ათ წელიწადში განხორციელდებაო. და, საზოგადოდ, იმ დროის სოციალისტურ ნაწერებში ხშირად შეხვდებით აზრს: თუ დიდი საერთაშორისო ომი ასტყდა, სოციალური გადატრიალება მოხდება და სოციალიზმად გარდიქმნებაო.

მაგრამ მეოცე საუკუნის დამდეგს უკვე ბევრი მათგანი შეიპყრო ეჭვმა. მაგალითად, ჟორესს სოციალიზმის ახლობელ დროში განხორციელება აღარა სწამდა და ამბობდა, ომი სოციალიზმს არა თუ არ დააჩქარებს, არამედ ხელს შეუშლის, რადგან ამ იდეალს საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებსო. მასთან ერთად თითქმის აღარც ერთს „სოციალისტს“ აღარა სწამდა სოციალიზმის განხორციელება ახლობელ მომავალში (ეს ურწმუნოება მეტადრე ჩვენს ვგრეთწოდებულ „სოციალისტფედერალისტებს“ ახასიათებს). და, ვფიქრობ, რომ, თუ ომამდისაც ბევრი იყო ურწმუნოთა რიცხვი, ომის შემდეგ, შეიძლება, სულაც აღარავინ დარჩეს „მორწმუნე“.

მართლაც, ამ ომმა ბევრს ცრუ რწმენას აუგო წესი და, უეჭველია, მის შემუსვრილ ლახვარს ვერც სოციალისტური უტოპია გადურჩება. ჰორი გამოდგა სოციალისტების ქადაგება, ვითომ დემოკრატიისა და სხვა კლასებს შორის საერთო არა არის-რა, საერთოს, ეროვნულ იდეალს არავითარი სოციალური ძალი არ აქვს, სოციალიზმის მომხიბლველ იდეალს არა თუ პროლეტარები, არამედ გლეხებიც მალე შეითვისებენო და სხ. სოციალისტები სექტად, ჯგუფად, გადიქცენ. ამგვარი გადაგვარება კი—სიკვდილის მომასწავებელია.

მაშ როგორი იქნება მომავალი დემოკრატიის იდეალი? მისი იდეალი—რეალური, შესაძლებელი და ასასრულებელი იქნება. მაშინ მას მქონებელი კლასის ნაწილიც გვერდში ამოუდგება, რადგან ისტორია მარტო კლასთა ბრძოლა არ არის და საერთო. ეროვნული ერთობა არანაკლებად შემოქმედე სოციალურ ძალს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, დემოკრატია ომის შემდეგ ეროვნული დემოკრატია იქნება, რომელიც ისეთს სოციალურ პირობებს შექმნის, რომელნიც უზრუნველჰყოფენ, როგორც დემოკრატიის კეთილდღეობას, აგრეთვე საზოგადო წარმატებასა და წინსვლას.

ვასილ წერეთელი.

## ახალი ამბავი.

✤ დღეს ქალაქის თეატრში ქართ. დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „ვიდრე ხვალ უფალო“. 6 მოქ. დრ. სენკევიჩისა თარგ. აკ. წერეთლისა.

✤ დღეს, ქუთაისში შესდგება გუბერნიის კოოპერატივთა წარმომადგენლების კრება, ამ კრებაზე სხვათა შორის განხილულ იქნება საკითხი ქუთაისში ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის განყოფილების დაარსებისა.

✤ საზოგადო საკრებულოს დარბაზში, დღეს საღამოს 8 საათზე, დავ კლდიაშვილის სახელობის საფერხზის სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართება ფრიად შინაარსიანი საღამო-კონცერტი. შ. ბუსურაშვილი და გ. ლაღიძე დ. კლდიაშვილის შესახებ წარმოსთქვამს სიტყვას.

✤ შუამდგომლობა. სოფელ კვახჩირის, (ქუთაისის მაზრა) მცხოვრებნი: ივანე გოცირიძე ნიკო და პარმენ ლომსიანიძეები შუამდგომლობით მიმართავენ ქუთაისის გუბერნატორს რათა ნება დართონ მათ დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება ხსენებულ სოფელში, [illegible] მართლე“

— გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობენ აგრეთვე ლანჩხის საზოგადოების მცხოვრებნი: ნესტორ სილოვან და ბიკენტი რუხაძეები, რათა ნება დართონ მათ, რომ დაარსონ სოფელ ქვიტირში (ქუთ მაზრა) მომხმარებელი საზ. სახელწოდებით „ოჯახი“.

✤ 1—15 დეკემბრამდე ქალაქში დაავადმყოფებულან: სახადით 16, ყვავილით 11 მუცელათი 9, ხუნაგით 8, ქუნთრუშით 15, წითელათი 8, კაცი ამათგან მომკვდარა: სახადიანი 2, ხუნაგიანი 2, ქუნთრუშანი 1.

✤ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფეებს, სადღესასწაულოდ დაითხოვენ 22 დეკემბერს, მოწაფეები დათხოვნილი იქნებიან 6 იანვრამდი.

✤ ქთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე სხვა და სხვა საქმეების გამო ბათომს გაემგზავრა.

✤ ევირიდის ქ. შ. წ. კ. გ. საზ. განყოფილებამ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართონ სოფელ საზანოში დაარსონ წიგნთ-საცავ სამკითხველო.

✤ ად. მომხ. საზ. „კოოპერაციის“ წევრებს ამიერიდან შეუძლიათ მიიღონ საპონი შემდეგ ადგილებში: ორპირის ქუჩაზე საყვარელიძის სახლში, ივანოვის ქუჩაზე საზ. სავაჭროში, და ბალახვანში, პურის სავჭროში

✤ ქუთაისში 1—დეკემბრიდან 15—დი რკინის გზით შემოუტანიათ შეშა 34 ვაგონი, კომბოსტო 8 ვაგ., ნავთი 16 ქვაბი-ვაგონი, მაზუთი 1 ქვაბი. თივა 7 ვაგ. ბზე 1 ვაგ, ცემენტი 1 ვაგ., საწერი ქაღალდი 1 ვაგ., ქატო 1 ვაგ., ქართოფილი 15 ვაგ, სიმინდი 3 ვაგ., ხე-ტყე 1 ვაგ., სხვადასხვა საქონელი 7958 ფუთი.

✤ ამ ჟამათ ქუთაისში არის შემდეგი რაოდენობის სანოვაგე: სიმინდი 1882 ფუთი, პურის ფქვილი 2395 ფუთი, „კრუპა“ 110 ფ., ბრინჯი 803 ფ, საკლავი საქონელი 123 ფეხი, ქართოფილი 5237 ფუთი, თევზი 356 ფ., მარილი 5971 ფ, ქატო 655 ფ., შეშა 75 საჟ., ქვანახშირი 910 ფ, ნავთი 6456 ფ., ასანთი 4375 ათ., საპონი 352 ფ., თივა 1185 ფ.

✤ ქართველ მწერალთა [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## № 21 †*).

(„ნომერი ოცდაერთი, ჯვრით“).

დრამა ხუთ მოქმედებად

**მოქმედება მეოთხე.**

**სცენა:** ამწვანებული სასეირნო ბაღი, ზღვის პირად. ადგილ ადგილ ბუჩქები და ბილიკებია. უკან ზღვა უდევს, მარცხნივ ტყით დაფენილი მთები. ჩასავალ მზეს ზღვა გაულაშლავებია და წყნარად ირხევა, ლივლივებს; ზღვის პირად აქა-იქ ლოდები ჰყრია. თვალწინ დიდებული სურათი იშლება.

ბაღში აუარებელი ხალხი დასეირნობს. მათ შორის დადის **გიჟი-ჩუმია**—სქელ-სქელია, დაგლეჯილ-დაფლეთილი, გაბურძგვნილი თმაწვერი აქვს, ჩუჩქიანი—დადის და ყველასა სთხოვს: პაპიროსი არა გაქვს? შაური არა გაქვს? ხალხი დასცინის ხარხარებს. ზოგიც მოწყალებას აძლევს.

ერთ-ერთ ბილიკზე გამოჩნდებიან ხელი ხელ ჩაკიდებული **ვანო** და **ლეონ ბერგი.** წინ წამოვლენ და ერთ განმარტოებულ ბუჩქის ძირას, მოლზე, განთ დაჯდება, ლეონი კი მხარ-თეძოზე წამოწვება და განთს თავით მიეყრდნობა ჰაუზა.

**ლ. ბერგი.** რა კარგად მოიქეც, ჩემო ლამაზო. რომ იმ დღეს გამიგონე და კრებაზე არ წამოხველ. ჯერ იყო და იმ საძაგელმა ირაკლიმ კინაღამ თავი არ შემომაკლა და მერე ხომ ამ უბედურებას სხვა უფრო დიდი უბედურება ზედ დაერთო. ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც მთელი რაზმი თავს დაგვესხა. მე არ ვიცი, როგორ გადავრჩი, ის კი კარგად მახსოვს, რომ დიდი შეურაცყოფით წაათრიეს ჩვენი ამხანაგები. თევდორესა და ლადოს კარგადაც ურტყეს. საბრალო ჩვენი ამხანაგები, ვინ იცის ახლა რა ნესტიან საკანში სხედან? (ტკბილ-მწარედ იღიმება.)

**ვანო.** (ამოიოხრებს.) საწყალნი! ნეტა მეც იქ ვყოფილიყავ!.. მაგრამ ან კი რას მოუმატებდი... ვერაგ ძალას ვინ გაუმკლავდება?(დაფიქრდება)მადლობა ღმერთს რომ შენ მაინც გადარჩი, თორემ რა მეშველებოდა ჩუმნის?! (დაიხრება, ბერგს თვალებში ჩახედავს და ქოჩორზე ხელს გადაუსვამს.) ჩემო ვაჟკაცო, ჩემო მშვენიერო!

**ლ. ბერგი.** (ინაზება) ეჰ დავანებოთ თავი მწარე მოგონებას და დავსტკბეთ ჩვენის მარტოობით. არის ხოლმე, ჩემო განო, ისეთი წუთები ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც მას უნდა, რომ იყოს გულახდილი, პირდაპირი, გათავისწინებული! სწორედ ასეთს გუნებაზე ვარ მეც ამ ჟამად. განვლილმა შავმა დღეებმა, შენთან ყოფნამ და ამ დიდებულმა ბუნებამ სულ ერთიანად გამომცვალეს. ახლა, აი ამ წუთში, მე აღარ ვარ ის ლეონ ბერგი, რომელსაც შენ იცნობდი გუშინ... გუშინ წინ... ამ წუთში მე პოეტი ვარ, მეოცნებე და მინდა სიყვარულის ჰიმნი ვუმღერო ამ ტურფა მხარეს (წამოჯდება და მიდამოს თვალს მიმოავლებს) შეხე იმ სურათს! (მიუთითებს) სადაც მზე ჩასვლას ეპირება... შეჩერებულა! ვიშ! რა ლამაზად მოუქარგავს მზეს ცის კიდური და რა სინაზით შეჰფოფინებს ქვევიდან მას ზღვა! შეხედე, შეხე, ტალღა ტალღასა როგორ შისდევს დასავლეთისკენ, თითქოს უნდათო მზის სხივები შესვან, შეიტკბონ,—გულში ჩაიკრან, ჩაიგრიხონ მათი მშვენება და შეეედრონ: ჯერ ნუ ჩახვალ, მზეო დიადო, ჯერ კიდევ გვწყურის შენი მზერა, ვერ დავმტკბარვართო! მაგრამ რა მარტო ზღვა! აბა, შეხედე ის ტყეც როგორ მიბნედილა, გულჩათხრობილა, ალბად თუ ჰფიქრობს: მეც შევსთხოვო მზეს არ ჩავიდეს, თუ ვიკმაროო მისი მზერა და დავიძინო! მთლად ეს მინდორიც როგორ ბიბინებს და ცელქ ნიავის არშიყობით თავსბრუ დასხმული, რა სიტკბოებას მისცემია, გაბრუებულა! ოხ, ბუნებაო, ბუნებაო! ნეტავ თუ რამე შეედრება თვისის მშვენებით?!. (ჩაფიქრდება. ამ მონოლოგის დროს განო, თითქოს მუსიკას ისმენსო, ოცნებითაა გატაცებული).

**ვანო.** (მცირე პაუზის შემდეგ) ოხ, ჩემო ბულბულო, ჩემო ენა მჭევრო! რა დედამ გშობა და რა მამამ გაგზარდა ეგრეთი ენა ტკბილი?!

**ლ. ბერგი.** (ფიქრებიდან გამოერკვევა) მე, ჩემო ტურფავ, გავიზარდე ერთს ღარიბ ქოხში, ცივ ქვეყნად. სიყმაწვილე ჩემი იყო ჯოჯოხეთი, ხოლო სიჭაბუკე ჯოჯოხეთზე უარესი. მე მოვესწარ იმ საზარელ რბევა-აწიოკებას, რომელიც თავს დაატყდათ საბრალო ებრაელებს. მე ვნახე, როგორ ფათრავდენ უსუსურ ბავშვებს, როგორ სჩხვდენ უმწეო დედაკაცებს. თვითონ მე სამგან გამიპეს თავი. გრძნობა მიხდილი ერთი ებრაელის სახლში გამოვფხიზლდი.თავს დამდგომოდა ახალგაზდა ქალი და მურყანის რტოთი სახეს მინიავებდა, ლამაზი იყო ქალი იგი, ვით ღვთაება და უმანკო, ვით უკვდავება. თვალები ჰქონდა ისეთი შავი, ისეთი ღრმა, როგორც, აი, ეს ზღვა და შიგ სიტყვით გამოუთქმელი სევდა ჩაჭკვდომოდა. შენ ერთხელაც გითხარ იმ ქალის სახელი: მას ერქვა ლია. მისმა მზერამ გამკურნა, მისმა მზრუნველობამ ფეხზე დამაყენა. სულ ორი, თუ სამი თვე ვიყავით ერთად, და მის მომხიბლავს, ფრთები შემესხა, გადამავიწყდა ყველაფერი და სალოცავად ის გავიხადე, მაგრამ ერთს ჩემთვის უბედურ დღეს თვალიდან დავკარგე... ვიღაცამ გადამიბირა. აი, ამ დღიდან ფიცი დავსდე სამაგიერო გადამეხადა მთელის ქვეყნისათვის!.. (უცბად გონზე მოვა. დაღონებულსა და შუბლ შეკრულ განოს რომ დაინახავს,—მის სახეს მიიბრუნებს და თვალებში ჩახედავს)... ნუ, ნუ იღრუბლები, გეთაყვანე! ის იყო მხოლოდ ტკბილი ზმანება... ილიუზია დალალულის სულისა, მოჩვენება ცრემლ-მორეულის თვალებისა.. ის იყო სიზმარი, უცნაური სიზმარი, ღამენათევ კაცს განთიადისას რომ მოელანდება ხოლმე...გაჰქრა, წავიდა უკვემ ზმანება იგი და ახლა მარტო და მხოლოდ შენი მაყვალა თვალები მასულდგმულებს! (ალერსიანად ხელს მოხვევს განოს და ჩაჰკოცნის.)

**ვანო** (აღელვებულ, ეჭვნაკრავი) ნუღარ, ნუღარ გამიხსენებ, სანატრელო, იმ ქალის სახელს ახლა მე და შენ ვებრძოლოთ ქვეყნის მტრებს.მეც შენსავით დაჩაგრული ერის შვილი ვარ, მომეცი ხელი და მე შენ დაგეხმარებები, როგორი სიყვარულიც სულიერ მგზნებარე კოლ- [illegible]

**ბერგი.** ამ ბუნების შვილს სიყვარული რომ არ შეეძლოს, ეს ხომ გმობა იქნებოდათ ვით შემომქმედისა.

**ვანო.** შენც ხომ გეყვარები? მითხარ... მითხარ .. შემომფიცე!

**ბერგი** სისულელეა ფიცი, როცა მთელი შენი არსება დაგინაცვლებია შენის სატრფოსათვის!

**ვანო.** (ნეტარის ღიმილით) ვინ არის შენი სატრფო?

**ბერგი** ჩემი იდეა და. . შენ... შენ!

**ვანო** იდეა და მე? სიყვარულში მოზიარე არავინ მინდა. მარტო მე უნდა გიყვარდე, მარტო მე!.. ნეტა ახლა ღრუბლად მაინც გვაქცია ორივენი, რომ ჩვენს გარეშე სხვა არავინ იყოს... ოხ, როგორ ვიტანჯები?!..

**ბერგი** რა გაქვს დასატანჯი?. ჩვენი გზა ახლა ხსნილია! ხვალ ზეგ გავალთ აქედან და ერთი კვირის შემდეგ ისეთ ადგილას ვიქნებით, რომ ეშმაკიც ველარ მოგვაგნებს.

**ვანო** (გატაცებით) ნეტავი აგრე, ნეტავი აგრე!

**ბერგი** (ცბიერის ჩაცინებით) მერე ხალხი? ჩვენი ამხანაგები? ჩვენი საქმე?

**ვანო** (გონს მოსული) მართლა ხალხი! ამხანაგები! საქმე! დალახვროს ღმერთმა ადამიანის თავდავიწყება! შენმა სიყვარულმა ყველაფერი გადამავიწყა. (ალერსიანად და თან გაუბედავად.) ამიხსენი, გეთაყვა, რა არის...რაზეა დამყარებული სიყვარული?

**ბერგი** (ცინიკურად) სქესობრივ ალოზე!

**ვანო** (მორცხვად) ვერ არის პოეტური თქმა!

**ბერგი** იქნება მართლა გჯერა პოეტებისა, სიყვარულს რომ ციურ გრძნობად სთვლიან? ნუ დაუჯერებ იმ სულელებს! სიყვარული მხოლოდ სწრაფვაა ვნებათა ღელვისა და დასაბამია კერძო საკუთრებისა!

**ვანო** (ნაწყენივით) შენი პირველი განმარტება მეტად მდარე ლირსებისაა, ხოლო მეორე—სიყალბე, ვინაიდგან კერძო საკუთრება ბოროტებაა და სიყვარული კი?..

**ბერგი** ([illegible]) სიყვარულიც ბოროტებაა! სიყვარულმა გაყიდვინა იესო იუდას, სიყვარულმა დაანგრია სამოთხე, სიყვარულმა შეჰქმნა ეჭვი და შურისძიება, სიყვარულმა წარმოშვა შენ ჩემობა, სიყვარულმა ჩაახშო თავისუფალი აზრი და თავისუფალი მისწრაფება.

**ვანო** (აღშფოთებული) გონს მოდი, ლეონ, რაებს ლაპარაკობ? სიყვარული რომ არ იყოს სიცოცხლეც ხომ არ იქნებოდა?

**ბერგი.** სიცოცხლე. . სიცოცხლე! რის მაქნისია სიცოცხლე გაბოროტებული, სიცოცხლე შურის ძიებითა და ღალატით ავსებული?

**ვანო** (დაბნევით) შენ მაინც არ გეთქმის საყვედური! მე შენთან ვარ და დაგიხსნი ყოველივე უსიამოვნებისაგან.., შენთვის თავსაც დავსდებ...

**ბერგი.** (ამოოხვრით) სიყვარული ჰკლავს იდეას, სპობს სურვილს ხალხოსნური ბრძოლისას. აბა, ახლა მაგალითად, რას ვაკეთებთ აქ? ჩვენი ამხანაგები იქ იტანჯებიან და ჩვენ კი აქ განცხრომას ვეძლევით! რათა? იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და მთელი ქვეყანაც რომ გადაბრუნდეს, ჯავრი აღარა გვაქვს. სიყვარული დასაბამია, საფუძველია მეთქი კერძო საკუთრებისა,განა ტყუილი გითხარი? შენ ჩემი ხარ გესმის ჩემი და სხვას ხელი არავისა აქვს შენთანა! ჩემი მეობა, ჩემი კერძოობითი გულისთქმა ნებას არ მომცემს რომ შენი თავი ვისმე დავუთმო... მაგალითად, თუნდა ირაკლის, იმასაც ხომ უყვარდი?..

**ვანო** (გაფანტვით) ნუღარ გამახსენებ იმ საძაგელს. რა ნება ჰქონდა, რომ შემიყვარა?!..

**ბერგი.** (გადიხარხარებს) რა ნება ჰქონდაო? განა მზე ნებას სთხოვს ვისმე, როცა ამოდის? განა გრძნობა ბილეთებით იყიდება?

**ვანო** (შეშფოთებული) მე შენი აღარა მესმის რა, რხთი ლაპარაკობ ავრე ორჭოფად?

**ბერგი.** იმიტომ, რომ მე შვილი ვარ ცხოვრებისა და ცხოვრება კი ორჭოფია.

*) (იხ. „სახალხო“ № 509).

მოღვაწეთა პანთეონის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად დღემდის შეგროვილა 3,194 მან. 65 კაპ.

✦ ბათუმში, წ. კ. საზოგადოების სკოლასთან იხსნება უფასო თავშესაფარი ომისაგან დაზარალებულთა შვილებისათვის.

✦ ს. დიდი ჯიხაიშიდან გვატყობინებენ, რომ იქ ნახევრად ლახოცილა საქონელი რომელთაც ჭირის საწინააღმდეგოთ აუცრეს. მთავრობა თითო სულ საქონელში იძლევა 45 მან. მაშინ, როდესაც უკანასკნელს დღეს ვერ იყიდი 150 მან ნაკლებ.

✦ 1 დეკემბრის ცნობით ბრძოლის ველზე ჭრილობისაგან გარდაცვლილა ქართველი პრაპ. დავით გაბრიელის ძე კანდელაკი, ხოლო დაჭრილა პოდპორუჩიკი ივანე მიხეილის ძე არდელი

✦ ომში დაჭრილი და დაავადმყოფებული ოფიცრები. ამ უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი ქართველი ოფიცრები; პრაპ სამსონ სალუქვაძე, ალ. ბეჟანიშვილი, პავლე მანიაშვილი, ინჟენერი როსტომ ყიფიანი, სამხ მღვდელი ალ. გაბუნია.

✦ 16 დეკემბერს, ქალაქის სასურსათო კომისიამ გაუნაწილა ვაგონები შემდეგ ვაჭრებს: ადგილობრივი მიმოსვლისათვის, მარილის მოსატანათ მიეცა პლ. ბოკერიას, გიორგი ბაზაძეს, რაფიელ ელიგულაშვილს, იზრაილ პაპიაშვილს, პ. აშიანცს, გოკიელოვს და ბარკაიას თითო ვაგონი. ქატოსათვის: პლ. ბოკერიას, დავით დომენიას და იზ. პაპიაშვილს ორ-ორი ვაგონი თივისათვის: გ. ბაზაძეს 10 ვ., დ. დომენიას 3 ვ. ბზესათვის: გ. ბაზაძეს 5 ვ., დ. დომენიას 2 ვ., შეშისათვის: ნ. ბარკაიას 17 ვ., დ. ჯანელიძეს, 1 ვ., ი. კაკიტელაშვილს 15 ვ., ერბოსათვის: დ. ქებაძეს 1 ვ., ნავთისათვის: ი. ნარსიას 15 ვ., დაუწმენდელ ნავთისათვის: ი. ნარსიას 25 ვ., სხვადასხვა საქონლისათვის: პლ. ბოკერიას 2 ვ., რ ელიაშვილს 1 ვ., დ. ქებაძეს 1 ვ., ს. მეკინულოვს 1 ვ., პირდაპირი მიმოსვლისათვის. ქატოსათვის თითო ვაგონი: მ. ბრეგაძეს, ა. ჩახაშვილს, ა. ლომიძეს. ქართოფილისათვის: გ. გურგენიძეს 4 ვ., ცაგალოვებს 4 ვ., გ. ადეიშვილს 8 ვ., ერბოსათვის: ბასილაძეს და კილასონიას 1 ვ., ხახვისათვის: პ. მორჩაძეს 1 ვ., საპონისათვის: დ. ქებაძეს 1 ვ., რვეულის ქაღალდისათვის: ოცხელს 1., საწერი ქაღალდისათვის: გოკი[illegible]ვს 2 ვ., ცემენტისთვის: ვ. ჟორჟოლ[illegible]ძეს 1 ვ., ასანთისათვის: თითო ვაგონი გოკიელოვს და ქებაძეს, სხვადასხვა საქონლისათვის: თითო ვაგონი დ. ქებაძეს და დ. ჟორჟოლაძეს, სიმინდის ფქვილისთვის პ. ბოკერიას 1 ვ., მარილისთვის: თითო ვაგონი პ. ბოკერიას, ნ. ბრეგაძეს, ვ. ჟორჟოლაძეს, ფ. ბარქაიას. ორი ვაგონი გ. ადეიშვილს, სიმინდისათვის: გ. გურგენიძეს 1 ვ., ცაგალოვს 4 ვ., პ. ბოკერიას 1 ვ., გ. ბაზაძეს 4 ვ., მ. ბრეგაძეს 1 ვ., ა. ჩახაშვილს 1 ვ., პ. მორჩაძეს 1 ვ., დ. დომენიას 2 ვ., სულაკაძეს 2. ვ., არ. ლომიძეს 4 ვ., რუხაძეს 4 ვ., ვ. მარუაშვილს 3 ვ., გ. ადეიშვილს 4 ვ., ვ. ჟორჟოლაძეს 3 ვ., კ. სვანაძეს 3 ვ., ტერ-სარკისოვს 3 ვ.

**გუბერნატ. კანცელარიის ცნობები.**

• სოფელ კორცხელში (ზუგ. მ.) 7 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე 6 შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველები თავს დაესხენ ისიდორე თორდიას წაართვეს 50 მან. ფულათ, ვერცხლის ხანჯალი ღირებული 100 მან. და მიიმალენ.

— სოფელ ბეჟითში (სენ. მაზრა.) 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხენ მეწისქვილე კოწია გეგენავას, და სიკვდილის მუქარით წაართვეს 100 მანეთი ფულად, ხოლო ნივთები რამდენიმე მანეთის, აქიდან გაემგზავრენ მის სახლში და იქიდანაც წაიღეს 50 მან. ფულად და სხვა და სხვა ნივთები. ავაზაკები უგზო-უკვლოდ მიიმალენ.

— სოფელ კაპანაში (სენ. მაზრა.) 9 დეკემბერს საღამოს 6 საათზე სამი შეიარაღებული ბოროტ გამზრახველები გზაში დახვდენ სოფელ კვათონის მცხოვრებს, საბა ლიპარტიას, რომელიც სოფ. ონტოფოდან ცხენით სახლში ბრუნდებოდა, წაართვეს მას 60 მანეთი და მიიმალენ.

— სოფელ „ბასხ-ძირში“ (სენაკის მაზრა) დარაჯებმა მიაგნეს ყაჩაღების სადგომს, და წინადადება მისცეს მათ დანებების შესახებ, ამ დროს ყაჩაღები გამოცვივდენ სახლიდან ასტეხეს სროლა და სროლით გაიქცენ, მათ გამოუდგენ დარაჯები და დააპატიმრეს, რომლებიც აღმოჩნდენ: შალვა მიქაძე და ნოე თაკვარელია. დაპატიმრებულნი გადასცეს სასამართლოს.

## კავკასიის ქრონიკა.

— **თბილისი.** მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა გუშინ ქართლ-კახეთის სამღვდელოება კრების მიერ არჩეული დეპუტაცია და მიართვა მოხსენება, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: სამღვდელოება[illegible] კრების სულითა და გულითა სურს განამტკიცოს საქართველოს ერში ერთგულება და დედაშვილური სიყვარული თავის დედა ეკლესიის მიმართ, აგრეთვე განამტკიცოს ერთგულება და სიყვარული მისი ჩვენ საყვარელ ხელმწიფის მიმართ. ამავე სამღვდელოებას ჟამის შესაფერად და აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია სთხოვოს მის უდიდებულესობას მოახსენოს სამღვდელოების უქვეშევრდომილესი თხოვნა ხელმწიფე იმპერატორს, რათა განხორციელებულ იქმნეს სურვილი მთელი საქართველოს ერისა და უმოწყალესად აღდგენილ იქმნეს ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიისა; შემოღებული საქართველოს საეგზარხოსოს საშვალო და დაბალ სკოლებში, სადაც ქართველები სწავლობენ, სამღვთო სჯულისა და სარწმუნოებრივ-სამღვთისმეტყველო საგნების სწავლება სამშობლო ენაზე.

— თბილისის პოლიტეხნიკუმს ექნება ოთხი განყოფილება; საქიმიო, სამექანიკო, საეკონომიო და სასოფლო-სამეურნეო.

— პეტროგრადის უნივერსიტეტში პროფესორთა საბჭოს სომხურისა და ქართული ენის კათედრაზე პროფესორად აურჩევია პრივატ-დოცენტი ნ. ადონცი

— **თელავი.** რადგანაც სოფლებიდან დიდძალი შეშა შემოდის, ფასმა საგრძნობლად დაიწია, კარგად დადებული ურემი 7—12 მანეთამდი ფასობს. ახლო მახლო სოფლებში საპანე ღვინო 320—400 მანეთად იყიდება. ბაზარზე ინდოური 6 7 მან. ღირს. დედალი 2 მან., ვარია 80 კ.

— **ჭიათურა.** ამ ჟამად ვიღაც აგენტები ყიდულობენ შავ ქვიან მამულებს „ბელგიის“ საზოგადოების სახელით. ქვევა მამულს ყიდულობენ 400—500 მანეთად, მაშინ, როდესაც წინეთ იმ ადგილებში იძლეოდენ 2500—3000 მანეთამდი. ზოგჯერ მხოლოდ იბევებენ მამულს და ადგენენ ნოტარიალურ პირობებს. რაოდენიმე თუმანს ქცევაზე ახლა აძლევენ და დანარჩენი ომის გათავების შემდეგ უნდა მიიღონ.

— **დ. ხიდისთავი.** როგორც იქნა ვეღირსეთ პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის გახსნას. ინსპექტორად დანიშნულია ს. ბურჭულაძე, რუსული ენის მასწავლებლად სულავას ქალი. ფოსტა-ტელეგრაფის გახსნას ჯერაც ვერ ვეღირსეთ; მიზეზად გზების უვარგისობას ასახელებენ. მართლაც ნავთლუღ-ხიდისთავის გზის კეთება დიდიხანია დაწყებულია, მაგრამ ჯერაც გაუკეთებელია. წინად აქ ორი ფერშალი იყო და ავათმყოფებს ვერ აუდიოდა. ერთი მათგანი სამხედრო სამსახურში შევიდა და ხიდისთავის რაიონი ერთი ფერშლის ანაბარად დარჩა, რის გამოც ბევრი ავათმყოფი საექიმო დახმარებას მოკლებულია. ადგილობრივ სამკითხველოში ხშირად ისეთი ხმა მაღლა ლაპარაკია, რომ გაზეთის წაკითხვა სალამოობით შეუძლებელია, ფოსტას სამკითხველოს წინ ხსნიან, სადაც აუარებელი ხალხი იყრის თავს. ნუ თუ არ შეიძლება საფოსტო საქმე სხვაგან შესრულდეს.


# ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვაცხადებთ ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ, ვინაიდგან ბევრ მათგანს ამ წლისათვის ფასი სრულათ არ აქვთ შემოტანილი, თითოეულს მათგანს ეგზავნება კერძო ბარათი ზედ აღნიშვნით, თუ ვის რამდენი მართებს ამის შემდეგ, ვინც მიმდინარე წლის გაზეთის ანგარიშს არ გაასწორებს, შემდეგისთვის აღარ დაიკვეთს და ფულს არ წარმოადგენს, იმათ გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზ „სამშობლოს“ კანტორა.


## საქველმოქმედო საღამო.

ერთი წელიწადი იქნება, რაც ქ. ქუთაისში საფირჩხიის მცხოვრებლებმა დაარსეს უფასო სამკითხველო დავით კლდიაშვილის სახელობაზე დღემდი ეს სამკ. არსებობდა შემოტანილ საწევრო გადასახადით, დღეს კი უმრავლესობამ ამ წევრებისა დღევანდელ სიძვირობის და სიღარიბის გამო შესწყვიტეს ეს მცირე გადასახადის შემოტანაც და ამის გამო საფირჩხიის სამკითხველო უკანასკნელ მდგომარეობაში იმყოფება და მოსალოდნელია კიდევაც დაიხუროს, თუ რამე სხვა საშვალება არ გამოვნახეთ. დახურვა დიდათ სამწუხარო იქნება არა მარტო საფირჩხიის მცხოვრებლებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. დღევანდელმა შეუწყნარებელმა ომმა უკვე დაგვანახა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღეს განათლებას. როგორც ვხედავთ, რომელ ერში მეტს ყურადღებას აქცევენ განათლებას, იმ ერში მეტი ძალა და სიმტკიცე სუფევს ყოველ საქმეში. ამიტომ საჭიროა ჩვენც უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ ასეთ წმიდათა წმინდა დაწესებულებას, რომელიც გვაძლევს სულიერ საზრდოს და ხელი გაუწოდოთ, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც აი სწორედ დღეს ასეთი წმინდა დაწესებულების ფონდის გასაძლიერებლად ქუთაისის სახალხო საკრებულოს დარბაზში გაიმართება ლიტერატურული საღამო, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ქუთაისში კარგათ ცნობილნი ინტელიგენტები და იმედია ქუთაისის საზოგადოება საზოგადოება არ დაიშურავს თავის წვლილს საკულტურო საქმისათვის.

## საზიზღარი მკვლელობა

(პეტ. დეპ. სააგ.)

**კავკავი.** 12 დეკემბერს დღეს დილით ქალაქ გარედ იპოვნეს ორ ნაბადში გახვეული მოკლულ მდიდარ ზამკოვოის გვამი. ნაცნობებს ზამკოვოი 11 დეკემბერს საღამოთი უნახავთ. იგი ღამე სახლში არ დაბრუნებულა.

**კავკავი.** 13 დეკემბერს ზამკოვოი კვირა საღამოს მისულა თ-დ მაყაშვილთან კავკავის რკინის გზის აქციების შესაძენად 145 ათას მანათად. ეს აქციები ვითომ თ-დ მაყაშვილს ბაქოს მახლობლად მატარებელთა დაჯახების დროს ჩავარდნია ხელში 150 ათასი მანეთისა. მაყაშვილის ბინაზე ზამკოვოი მოუკლავთ და ორ ნაბადში გაუხვევიათ. მაყაშვილს წინდაწინვე სხირტლაძისაგან ავტომობილი უთხოვნია უშოფეროდ. ღამე სტრაჟნიკ ტომოვის დახმარებით მოკლულის გვამი ავტომობილში ჩაუდვია მაყაშვილის მოურავს მესხიშვილს და სამხედრო გზისაკენ წასულა. რედანტის მახლობლად ავტომობილი პარაპეტს დასჯახებია და გაჩერებულა. მაყაშვილს მესხიშვილი მახლობელ კაზაკთა

---

რებაში გამარჯვებული ის არის, ვინც დაიმონებს ბრბოს, ვინც პირველად შეაყვარებს ქალს თავს, ვინც მხოლოდ და მხოლოდ თავის პირად ნებისყოფას უმორჩილებს სხვის ნებას

**ვანო.** (განცვიფრებული წ მოიწევს) მე შენ ვეღარ გცნობ!

**ბერგი.** დროა გამიცნო! ლეონ ბერგი ხალხში სხვაა და გათავისწინებული კიდევ სხვა. ბრბოს უყვარს, როცა მას ატყუებენ, მე კი მეჯავრება, როცა ჩემსავე თავს ვატყუებ, მე არ მწამს საზოგადოებრიობა, მრწამს მხოლოდ რომ მე მე-ვარ და თუ ბრბოს ტაშს ვუკრავ, ამით ჩემს პირად თავმოყვარეობას ვიკმაყოფილებ. მე მიყვარს ბატონობა, მიყვარს, როცა ჩემს წინაშე მატლებივით ხოხავენ, მიყვარს როცა ვაღორებ მონებს, საპყრებს, უტვინოებს...

**ვანო.** (სასოწარკვეთილებით) ღმერთო რა მესმის ეს, რა?

**ბერგი** სრული ჭეშმარიტება! შენც მარტო შენი თავი გიყვარს, თორემ ირაკლის უარს არ ეტყოდი, სიყვარული ის კი არ არის, რომ შენი სიამოვნება ეძიო, შენი გულისთქმა აისრულო. სიყვარული ის არის, რომ სხვას მიანიჭო ბედნიერება სხვას ემსახურო... სხვას დაჰყვე ნებას!

**ვანო.** (ფეხზე წამოიჭრება) ხუმრობ— თუ?

**ბერგი.** (გადიხარხარებს, ცბიერად). შეფუცხუნდი? ვხუმრობ, რასაკვირველია, ვხუმრობ. მე გცდიდი.

**ვანო** რა მაქვს გამოსაცდელი? შენ მოგანდე ჩემი გულის სიმები, ჩემი სიცოცხლე და შენი ავი ჩემი ავიც არის.

**ბერგი.** (შემპარავის ღიმილით) ნუ გამიწყრები, ჩემო მშვენიერო, მაგრამ ეგეც ცარიელი სიტყვებია. გეყვარები იქამდე, ვიდრე შენს ოცნებას, შენს ილლიუზიას ფრთები არ შეეკვეცება, ვინაიდგან სიყვარული უაღრესი ეგოისტური გრძნობაა. მე ასე მგონია, ვიდრე იარსებებს სიყვარული ქალვაჟთა შორის, მათთვის ყოველივე იდეა ან იარაღი იქნება ერთმანეთთან დასაახლოვებლად ან თვალთ-მაქცობა.

**ვანო.** (შეტევით) ლეონ!

**ბერგი.** (არხეინად) მე ვარ!

**ვანო.** ლეონ, ნუ, ნუ დამაფიქრებ! მე მინდა უდარდელად მივეცე ჩემს გატაცებას, ჩემს აღმაფრენას.

**ბერგი.** ბავში ყოფილხარ!

**ვანო.** ნუ თუ დამცინი?

**ლეონ ბერგი.** ღმერთმა დამიფაროს ვისიმე დაცინვისაგან მე მხოლოდ იმას ვამბობ, სიყვარული განხორციელებული ეგოიზმია-მეთქი!

**ვანო.** (გამწყრალი) მაშ, ნუ თუ ქვეყნად არ არსებობს უანგარო გატაცება, უანგარო სიყვარული?

**ბერგი.** არ არსებობს! საზოგადოდ, ადამიანი, ან თავის თავს ატყუებს, ან სხვას და ორივეჯერ მხოლოდ ეგოისტობა ახელმძღვანელებს. პირველ შემთხვევაში ე, ი. თავის მოტყუებით, ის განზრახ იხშობს თავის მეტოქს ხოლო მეორე შემთხვევაში, ე. ი. როცა სხვას ატყუებს, იგი უკვე გამოცდილი ხელოვანია!

**ვანო.** (უკმაყოფილოდ) ვფიცავ შენს თავს, მაგ ორმაგობისა არა მესმის რა.

**ბერგი.** (ღიმილით) დროა შეიგნო, რომ ქვეყნად მარტო ორმაგობაა ხელ-საყრელი!

**ვანო.** (ისევ მიუჯდება ლეონს, თავბრუ დასხმული, გარეტიანებული, აღარ იცის რა სთქვას, რა იფიქროს). ხელ-საყრელია მარტო სიყვარული, სიყვარული თავდავიწყებითი, სიყვარული ცხოვრების მომნიჭებელი! ჩემი მამა, ძმა, და, სამშობლო შენთვის შემომიწირავს, ოღონდ კი მუდამ შენთან ვიყო, შენ გეალერსო, შენ გიყურო თვალებში. იხრათაც დარჩენილა მთელი ქვეყანა თუ კი შენ თავს დამაშორებენ... რაებს ლაპარაკობ. ჩემო გიჟო ჩემო ღვთაებავ! ნუ, ნუ მცდი გეთაყვა... გვიანდაა! (მოეხვევა და გიჟურად ჩაჰკოცნის).

**ბერგი.** (ვითომდა ხუმრობით) დიდებული ვეინინგერი, დიდებული შოპენჰაუერი! (თითონაც ჰკოცნის თავდავიწყებით *)

*) შოპენჰაუერი და ნამეტნავად ვეინინგერი ამტკიცებენ, რომ ქალი, დედაკაცი, მხოლოდ სექსუალური არსებაა და მას მგრძნობელობის გარდა სხვა სულიერი თვისება არა აქვს. **ავტორი.**

II

მზე დიდიხნის ჩასულია მოსეირნენიც წავიდ წამოვიდენ.

და ახლა მთვარე დაჭქატქათებს მიდამოს. შორს... შორიდან მოისმება სიმებიანი ორკესტრის გულწრფელი სერენადა... ჭკვნესის და გმინავს მუსიკა იგი და შორით მონაბერი ჭკვნები ნეტარებითა და თან სევდით ავსებენ მსმენელებს. განო და ბერგი სხედან ხელი ხელ გადახვეულნი, თავი თავზე მიყრდნიათ და მუსიკის ზეგავლენით თავ თავის საგონებელს მისცემიან მთვარე თვალებში ჩაჭყურებთ. მუსიკა ხმადაბლა უკრავს მეორე გამის ვლის ბილომდე).

**ვინმე მოხუცი.** (მოდის ერთ ერთის ბილიკით, წელში მოხრილია თეთრი თოვლივით თმა წვერი აქვს ბუჩქს გადმოსცდება განოს. და ლეონს რომ დაინახავს თითქოს შეკრთაო, ხმის კანკალით) მაპატიეთ ყმაწვილებო... ახალგაზდებო... მშვენიერმა საღამომ გამომიტყუა. მოხუცი ვარ სისხლ-გამშრალი, მაგრამ ეს ოხერი გული როდი ბერდება თურმე! ოცნებამ, გამიტაცა და წარსულის მოსაგონებლად ამ ყრუ ადგილისაკენ გამოვეწიე...

**ბერგი და ვანო.** (გამოერკვევიან, გასწორდებიან).

**ვინმე მოხუცი.** მაპატიეთ-მეთქი ახალგაზდებო, მშვენიერებო... ნება მიბოძეთ აქვე თქვენ გვერდზე ჩამოვჯდე.

**ბერგი.** შეგიძლიათ... ჩვენ არას დაგვიშლით! პირ იქით სასიამოვნოა ცოცხალი არქეოლოგიური ნაშთის ნახვა. (ვანო და ლეონი იცინიან).

**მოხუცი** (სკამზე ჩამოჯდება) გაიცინეთ, გაიცინეთ, ბავშვებო... მტრედებო! ისიამოვნეთ, ვიდრე დრო გაქვთ, თორემ მალე დაბერდებით და ისე გაგიფრინდებათ დრო ხელიდან, როგორც გამიფრინდა მე.

**ბერგი.** რამდენი წლისა ხართ?

**მოხუცი.** (ღიმილით) ჩემი დაბადება მე თვითონ არ მახსოვს, სხვის სიტყვით კი სამოცდა ხუთმეტი წლისა უნდა ვიყო.

**ვანო.** ნეტავ ჩვენც მივაღწიოთ მაგ ხნამდე

**მოხუცი.** თუ ერთმანეთი გეყვარებათ და ცოდვას არ ჩაიდენთ, ან არ ჩაიდენთ, მეტსაც იცოცხლებთ!...

**ბერგი** (სიცილით) რა ცოდვა უნდა ჩავიდინოთ, ჩვენ და-ძმანი ვართ

**მოხუცი.** დიდი ხუმარა ყოფილხართ, ჩემო კარგო, და-ძმა ხალხს არ მოერიდება და არც ყრუ ადგილას მთვარისა და ზღვის საცქერად არ წამოვა. გესმით ეს მუსიკაც! იგი მხოლოდ სიყვარულს უგალობს. (ღიმილით ყურს წაუგდებს მუსიკას.)

**ბერგი** აი, ყოჩაღ მოხუცო! გეტყობათ ყმაწვილობისას ბევრი რამ გამოგიცდიათ.

**მოხუცი.** ბევრი რამ? არა! სიყვარული ერთხელ, სულ ერთხელ გამოვცადე, მაგრამ ისიც საკმარისია, რომ ვიცნო შეყვარებულები... მაშინ სულ 23 წლის ყმაწვილი ვიყავ.

**ვანო და ბერგი** (ერთმანეთს გადახედავენ) ჩვენც სწორედ 23-ნი ვართ.

**მოხუცი** რა ბრძანეთ?

**ბერგი.** არაფერი. კარგი, საუკეთესო დროა 23 წელიწადი მეთქი.

**მოხუცი** რასაკვირველია, ამ ხანში კაცია თუ ქალი, სულ ვარსკვლავებს ეთამაშება.

**ბერგი** თქვენც ალბად ეთამაშებოდით, მაღლა მთვარეს და ძირს კიდევ ლამაზ ქალებს, არა?

**მოხუცი** ვაპირებდი გათამაშებას, მაგრამ... (ამოიოხრებს) ჩემმა სატრფომ უდროო დროს მიღალატა... უდროო დროს დამიკოდა გული... ფრთები შემაჭრა

**ბერგი** საინტერესოა ძველი რაინდის ძველი ისტორიის მოსმენა. თუ შეიძლება გვიამბეთ.

**ვანო** გვიამბეთ მოხუცო. ჭკუა გვასწავლეთ ახალგაზდებს.

**მოხუცი.** სიამოვნებით... მით უმეტეს რომ ამ საუცხოვო მუსიკამ, ამ ცბიერმა მთვარემ, ამ სიომ შავი ზღვისამ ორმოცდა ათი წლით გამაახალგაზდავა, მომაგონა ჩემი წარსული და თქვენც რომ არ შემხვედროდით, მე ჩემსავე თავს მოვუყვებოდი ჩემს თავგადასავალს. ხომ მოგეხსენებათ, მოხუცი მხოლოდ მოგონებით ლა სცოცხლობს. (ჩაახველებს, წვერებზე ხელს ჩამოისვამს და ნელის ხმით დაიწყებს) უნდა მოგახსენოთ, გვრიტებო... მტრედებო, რომ იმ თავითვე დიდი მეოცნებე ვიყავ, სულ იმას ვფიქრობდი: როგორმე გარდამექნა მაშინდელი წესი ცხოვრებისა და დამემყარებინა სრულიად ახალი, თავისუფალი, თანასწორი, ძმური და ერთობლივი. გამიტაცა ამ ოცნებამ, შევადგინე განსაკუთრებული წრე, ავიყოლიე მრავალი ქალი და ვაჟი, ყოველ საღამოს ვიკრიბებოდით ხოლმე, ვადგენდით გეგმებს, ვწერდით წერილებს... ვშოულობდით თანამგრძნობლებს, ვავრცელებდით ჩვენს აზრებს, ჩვენს იდეებს.

**ბერგი** მოხუცო, მგონია, ცოტათი აჭარბებთ, ამ ორმოცი-სამოცი წლის წინად მაგისთანა არა მოხდებოდა რა.

**მოხუცი** (ღიმილით) მე იქ ვიყავ და თქვენ კი სიტყვას მისწორებთ. ვერ არის კარგი, ყმაწვილო კაცო!.. სწორედ ამაზეა ნათქვამი: მაზლი ქორწილში იყო და რძალი კი ამბავს უყვებოდაო! (ბებრულად იცინის.)

**ვანო** განაგრძეთ, განაგრძეთ.

**მოხუცი** (კვლავ ღიმილით) უკაცრავად, ყმაწვილო, თქვენი სატრფო თქვენზე უფრო ცნობის მოყვარე ყოფილა.

**ბერგი** ქალი ყოველთვის ქალად დარჩება!

**ვანო** (საყვედურ ნარევ ღიმილით) ლეონ, შენ ამბობ მაგას?

**ბერგი** მე მინდა მოხუცი ავალაპარაკო, ვათქმევინო რა აზრისაა ქალებზეც.

**მოხუცი** რა აზრის ვარ ქალებზე? მე ასე მგონია, უქალებოდ კაცები მხოლოდ მასხარები და უსაქმურნი ვიქნებოდით.

**ბერგი** კვლავ აჭარბებთ, მოხუცო.

**მოხუცი.** სრულიადაც არა! ქალი თვალია ქვეყნისა.

**ბერგი** უცნაური აზრია?

**მოხუცი** (ყურადღებას არ აქცევს, განაგრძობს) ქალი აზარმაცია მამაკაცის საქმიანობისა, რაც რამ ხდება ქვეყნად კარგი, თუ ავი, ხდება ქალის გამო, ქალის მეოხებით და ქალის ნებით.

**ვანო** ვაშა, ვაშა მოხუცო!

**მოხუცი** ეგ ვაშა ეკუთვნით ქალებს, საზოგადოთ, თორემ პირადად მე გულნატკენი, დაღუპული ვარ ქალისგან

**ბერგი** (ღიმილით) აცა თუ მე არ გავიმარჯვო!

**მოხუცი** (ღიმილითვე) არა მგონია!... (განაგრძობს) ჩვენ წრეში ბევრი ქალი

სადარაჯოზე გაუგზავნია საშველად. თვითონ კი მოკლულის გვამი იქვე გზის მახლობლად გადუგდია. ავტომობილი მეურმეების დახმარებით მაყაშვილის ბინაზე მოუტანიათ. მაყაშვილი ოთხშაბათს არხეინად დასეირნობდა თურმე თავისი მეუღლით, ალექსანდრეს პროსპექტზე. იმ ღამეს გაუჩხრეკიათ მაყაშვილის ბინა და აღმოუჩენიათ ფული და სისხლის კვალი. დამნაშავენი შეუპყრიათ.

## პროვინციის ცხოვრება.

**იანეთი** აქ ხელ მეორეთ გაჩნდა საქონლის ჭირი.

კარგა ხანია, რაც აქ ყელჭირვება მძვინვარებს. რამდენიმე სულიც იმსხვერპლა. ახლა მთელს სოფელს მოედვა ყვავილი და ისიც მუსრს ავლებს. ასეთ გაჭირვების დროს არსაიდან შველა-დახმარება არა აქვს სოფელს. დროა ყურადღება მიაქციონ სოფელს, ვინც მოვალეა.

— **ბალახვანი** რკინის გზის სადგურიდან გზა ჩამოდის ბალახვანში. ეს გზა სულ 4.5 წელიწადია, რაც გაიყვანეს. გზაზე დიდი ძალი ხალხი დადის და მის გაკეთებას კი არავინ ფიქრობს. და ით გავლა უთვლად შეუძლებელია. მუხლზე ტალახი დგას და არც ერთი თვარანი არ ანთია. კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდენ, ვიდრე რაიმე უბედურება დატრიალდებოდეს.

ი. ხეთერელი.

— **სად. მარელისი.** აქაურ საზოგადოების ერთ ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს გახსნან სადგურ მარელისში სამკითხველო. იმედია ამ კულტურულ დაწესებულებას სურვილით შეეგებება იქაური საზოგადოება. აქაურმა წვრილ საამხანაგო—საკრედიტო დაწესებულებამ ამ კვირაში დაარიგა თავის წევრთა და არა წევრთა შორის შაბიამანი.

აქ მოიყვანეს ასი სარტი სამუშაოდ რკინის გზის ლიანდაგზე.

— **სოფ. დიდი ჯიხაიში.** აქაური კოოპერატიული დუქნის წლიური ანგარიშის გამო კრება იყო დანიშნული. კრება გადაიდო. ირკვევა რომ ჩვენი კოოპერატივის საქმეები თანდა თან ფართოვდება.

აქ ყვავილი გახშირდა, ბევრიც იმსხვერპლა. ექიმები არა გვყავს. ავთიაქის გამგეს ასაცრელი ჩირქიც ვერ მოუტანია. საჭიროა ყურადღება.

— **სოფ. ტობანიერი.** ძლივს გედირსეთ პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელს. ველა სანოვაგე თანდათან ძვირდება. პური ძნელი საშოვარია და შაქარი სულ არ იშოვება.

— **ს. ლანჩხუთი.** აქ დაარსდა „ლანჩხუთის სარაიონო საკრედიტო და მომხმარებელ კოოპერატივთა ბიურო," რომელმაც უკვე დაიწყო მოქმედება. ბიურომ დაადგინა: ბიურო ახლავე უდგება აბრეშუმის თესლის ბეწ შეკრებას, თესლს შეიძენენ ახლავე და მომხმარებელთ დაურიგებენ აპრილში. მანამ კი შენახული უნდა იქნეს თფილისის, ან ქუთაისის სააბრეშუმო სადგურის სანამთრო შესანახში.

**სოფ გოჩა ჯიხაიში.** აქ 4 ამ თვეს საზიზღარი მკვლელობა მოხდა. მოკლეს დეკანოზი ცაგარეიშვილი. მკვლელობის ალაგი საშიშარი სანახავია. ჩანს, რომ დეკანოზს სული დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ დაულევია. ხალხი მეტად აღშფოთებულია.

— **სოფ ლესა** (გურია). აქაურობას გამოცოცხლება დაეტყო აქ არსებობს წიგნთსაცავი სამკითხველო და კოოპერატივი, რომლის საქმე კარგად მიდის ჩვენი უბედურება მხოლოდ მასშია, რომ საქონლის ჭირმა თავი იჩინა. ჭირი მუსრს ავლებს შინაურ საქონელს. ამაში ჩვენ ბრალს ვდებთ საქონლის მეიდგელთ—მოიჯარადრეთ. სოფლად. საქონელი იყიდეს და აქ მორეკეს და ორი სამ დღე დაბინავეს. ამ დღიდან აქ საქონელს ჭირი მოედო.

— **სოფ. ხაბუმე** (ზუგ. მაზრა) სოფლის მღვდელი — გურამ შენგელიამ, რომლისგან შვილი სოფლის გამო ქელეხის გამართვის მაგივრად. ასი მანეთი გადასცა დეკანოზს სამსონ თოდუას ადგილობრივ სახალხო სამკითხველოს დასაარსებლად. დეკანოზმა ამით იხელმძღვანელა და კარგ სიტყვაში საზოგადოებას დაუსურათა სანიმუშო მაგალითი და თხოვა რომ ხალხმა ხელი შეუწყოს კულტურულ განვითარებასა და საბუთიანად დაგმო ჩვენებური ქელეხი.

## რუსეთი.

ამ ორიოდე დღის წინად ერთი მინისტრის ბინაზე მოხდა მინისტრთა თათბირი, რომელსაც დაესწრო სხვათა შორის საზონოვი.

— სამეცნიერო აკადემიამ ისევ დაადგინა მ. გორკი აკადემიის წევრად მიიწვიოს სიტყვიერების ნაწილზე.

— უკანასკნელ დროს პეტროგრადში ხმა გავრცელდა, რომ საზონოვს ელჩადა ნიშნავენ ლონდონში.

— მოსკოვის ქალაქის უფროსს განუმარტავს, რომ მოსკოვის არც ერთი საზოგადოების კრების მოწვევა აღკრძალული არ არის. აღუკრძალავთ მხოლოდ საერობო და ქალაქთა კავშირის ყრილობები.

— ტრეპოვს უთქვამს: ახალწლამდე მაინც და მაინც არავითარი ცვლილება მმართველ წრეებში მოსალოდნელი არ არისო.

— პეტროგრადში დარწმუნებულნი ყოფილან, რომ პროტოპოპოვი ახალწლამდე თანამდებობას არ მიიღებს სახელმწიფო საქმეებში

— ცნობილ მანასევიჩ-მანუილოვის საქმე ამ მოკლე ხანში გაირჩევა პეტროგრადში. საქმე 4 დღეს გაგრძელდება და მისი გარჩევა ხალხის დაუსწრებლად მოხდება. გაწვეულია 50-მდე მოწმე. მანასევიჩ-მანუილოვს განუცხადებია: არავის დავინდობ და, რაც შტიურმერზე ვთქვი, ათ იმოტელას კიდევ ახალს გამოვამჟღავნებო.

— ქალაქთა კავშირის დაწესებულებებში მომუშავეთ ჯარში გაწვევის ვადა 1 იანვრიდან 1 ივნისამდე განუგრძეს.

— სამხედრო საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ორ გლეხს, მლადჩენკოსა და ნიკიჩენკოს, რომელთაც სარწმუნოებრივ მიზეზით უარი განაცხადეს სამხედრო ბეგარის მოხდაზე.

— 16 დეკემბრიდან იწყობს გმოსვლას პროტოპოპოვის გაზეთი—„რუსკაია ვოლია". თანამშრომელთა ურთიერთ დახმარებისათვის 10,000 მან. გადაუდვიათ.

— მარიინის სასახლეში სწავლა-განათლების კომისიის სხდომა მოხდარა. სხვათა შორის აქ განუხილავთ თბილისის პოლიტეხნიკუმის პროექტი, რომელიც მოუწონებიათ და მხოლოდ მის ფინანსიურ მხარეში შეუტანიათ ცვლილებანი.

— განზრახული იყო გუბერნატორების ყრილობის მოწვევა, მაგრამ, მათი ადგილობრივ ყოფნა საჭიროდ დაინახეს და ამიტომ ყრილობა არ იქნა მოწვეული.

— ხმებია, ხვოსტოვს ისევ მოიწვევენ რომელიმე მინისტრის თანამდებობაზედაო. ტრეპოვს უნახულია იგი და დიდხანს უსაუბრია მასთან.

— პეტროგრადში სახელმწიფო ბანკში შესულა დუბროვინი და ახალ სამხედრო სესხზე მოუწერია ხელი. მას უყიდია 200,000 მანეთის ობლიგაციები. ფული ნაღდათ შეუტანია მაშინვე.

— მთავრობას ძალიან არ მოსწონს ის, რომ სახ. საბჭო მის ოპოზიციაში ჩაუდგა და ამიტომ ახლო მომავალში საბჭოს მრავალი წევრი გამოცვლილი იქნება.

## უცხოეთი.

შვეციის სოციალისტთა ბიუროს უკანასკნელ კრებაზედ დაუდგენიათ პროტესტი გამოუცხადონ გერმანიას ბელგიიდან მშვიდობიან მცხოვრებთა გაყვანის გამო ამას გარდა სტოკჰოლმში და სხვა ქალაქებში გაიმართება მიტინგები, რომელზედაც ილაპარაკებენ ამ საკითხის თაობაზე.

— ირლანდიელთა უკანასკნელ ამბოხების დროს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ რამდენიმე ათისი ირლანდიელი დაატუსაღა. უკანასკნელ კვირის განმავლობაში გაუნთავისუფლებიათ 500 კაცი. ამას კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ლიბერალ წრეებში. გაზეთები ურჩევენ მთავრობას სრულიად გაანთავისუფლოს დატუსაღებული ირლანდიელები.

— ავსტრიის პრემიერ მინისტრის შტიურგკის მკვლელობის შემდეგ ვერ იქნა ავსტრიის შინა ცხოვრება თავის კალაპოტში ვერ ჩადგა. ავსტრიის თავისებურ სახელმწიფო წყობილების გამო მისი მთავრობის მოვალეობა ერთობ ძნელია: სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნება მაშინ, როდესაც წვრილ ერთა შორის სეპარატიული სულის კვეთება დიდია და მათი ერთი მეორის საწინააღმდეგო ინტერესების შერიგება. რამდენიმე ცვლილების შემდეგ პრემიერიად ბოლოს დანიშნულ იქნა ჩეხელი მარტინაცი, რომელმაც თავისიანები არ დაინდო ამას წინად და ეროვნულ მოძრაობის ბელადს კრამარჟს ბედი გაუმწარა. გერმანელები დარწმუნებულნი არიან, რომ მარტინაცი ძალიან დაეხმარება მათ ავსტრია ჰუნგრეთის გერმანეთთან შედუღება-შეერთებაში.

— ბულგარეთის რუსოფილ ოპოზიციონერის მალინოვის პარტიამ დეპუტაცია გაუგზავნა პრემიერს რადოსლავოვს. ოპოზიციონერებს შეცდომათ უღიარებაით თავის უწინდელი მოქმედება და მადლობა განუცხადებიათ პრემიერისათვის, რომ იგი ნამდვილ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებდა.

## ვაჭრობა მრეწველობა.

მოსკოვში ჩამოსულან დანიელი ვაჭრები. ისინი გასცნობიან მოსკოვის ბაზარს და დაინტერესებულან რუსეთის შინა მრეწველობით; ამის გამო ჰკრეფენ ცნობებს და აპირებენ რუსეთის მნიშვნელოვან ქალაქების დავლას. ახლო მომავალში მათ განზრახვა აქვთ აგრეთვე მოვიდნენ კავკასიაში და აქედან შემდეგ სპარსეთშიაც მოვლიან. დანიელები დაპირებიან მოსკოველ ვაჭრებს აუარებელ სხვა და სხვა საქონელს მოგაწვდით იაფ ფასებშიო.

— როგორც ვიწყით, რაკი ომიანობის გამო დასავლეთ ევროპიდან თითქმის სრულიად შესწყდა სხვა და სხვა საქონლის შემოზიდვა, იაპონელმა სოვდაგრებმა მრავალი ვაგონი—ყოველ გვარ საქონლით დატვირთული ვლადივასტოკიდან მოსკოვისაკენ გამოგზავნეს; ასე, რომ მოკლე ხანში რუსეთის შიდა გუბერნიების ბაზარი იაპონურ საქონლით გაავსეს და მოთხოვნილებაც დიდი იყო, მაგრამ ამ გატაცებას დიდხანს არ გაუტანია, მალე აღმოჩნდა, რომ იაპონური საქონელი ღირსებით რუსეთის მეორე ხარისხოვან საქონელზედაც დაბალი გამოდგა. ეხლა იაპონურ საქონლის მოთხოვნილება ამიტომ ძალიან შემცირდა. ეხლა იაპონიის სავაჭრო კანტორის წარმომადგენლები პროვინციაში გზავნიან თავის საქონელს.

— ბაქოს ნავთის მრეწველებმა ნავთის ფასის აწევა შესწყვიტეს და პირიქით ბოლო დროს ცოტათი გაიაფდა კიდევაც. ნავთის ჩვეულებრივი ვაჭრები და საქვო სპეკულიანტები ერთმანეთს ეცილებიან.

— „პურის კრიზისი" კვლავინდებურად დიდ ყურადღებას იქცევს რუსეთში, რადგანაც მემამულეები და პურის ჩარჩები ხორბალს ჰმალავენ და უცდიან ფასის აწევას. ამის იმედი აქვთ, რადგანაც ზამთრამდი გამოელევათ ხორბალი, გზები ძნელ პირთ და ფასის [illegible] სავალი არ იქნება.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 25 წ. |
| " | — საღამ. — | 8 ს. 50 " |
| ბათომიდან | — დღისით | 12 ს. 40 " |
| " | — ღამის — | 2 ს. 20 " |
| ფოთიდან | — დილის | 10 ს. 26 " |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 7 ს. 00 " |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. 24 " |

ქ ქუთაისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს — " |
| " | — ღამის | — 12 ს. 15 " |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 3 " |
| " | — დილის — | 5 ს 55 " |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. " |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 " |
| შორაპნისაკენ | — დღით | 5 ს. 18 " |

ერია, ერთი მათგანი შემიყვარდა და შემიყვარდა იმდენად, რომ მზად ვიყავ იმის გულისათვის ყოველივე მსხვერპლი გამეღო, მაგრამ იმ დროს უშნო ვიყავ გარეგნობით, ულაზათო. ის კი ღვთაებასა ჰგავდა. გარდა ამისა, ქალი იგი ბევრად ჭკვიანი მეგონა და როგორც ღმერთს, შორიდან ვლოცულობდი, მოწიწებით ვეძცეოდი, და ვერც კი წარმომედგინა, რომ მას შეეძლო მიწიერი... სქესობრივი დაახლოვება ვისთანმე. ჩვენს წრეშივე იყო ერთი მშვენიერი ვაჟკაცი გარეგნობით, ენამჭევრი, მლიქვნელი, შემპარავი. აი ამ ყმაწვილმა ანაზდეულად მოხიბლა ჩემი სალოცავი საგანი და ჩემთვის ერთ უბედურ დღეს თვით ქალი ჩაუვარდა მუხლებში ვაჟს და ევედრებოდა შემიყვარეო.

**განო.** (ცოტა შეშფოთებული) დასაძრახისი რა არის? თუ კი ვაჟს შეუძლია სიყვარულის გამოცხადება, რატომ ქალს კი არ უნდა შეეძლოს?

**მოხუცი.** გეთანხმებით, მაგრამ ის ქალი იმ ვაჟს არ იცნობდა და თავი კი დაიმცირა.

**ბერგი.** სიყვარული არავის ამცირებს.

**მოხუცი.** სიყვარულიც არის და სიყვარულიც!

**განო.** სამაგიეროდ, სიყვარული გულთამხილავია!

**მოხუცი.** დიდი შეცდომა მოგდით, ისე როგორც შესცდა ჩემი სატრფოც... ის ყმაწვილი შემდეგში უპატიოსნო, მატყუარა გამოდგა...

**განო.** (განცვიფრებული) მატყუარა?

**მოხუცი.** დიახ, მატყუარა, ორ-პირი! დაღუპა საბრალო ქალი!

**ბერგი.** შეუძლებელია ჭკვიანი და დაფიქრებული ქალი წინდაწინვე არ მიმხვდარიყო...

**მოხუცი.** ეშმაკს ვინ რას გაუგებს!

**ბერგი.** მოხუცებულხართ, ბაბუა, და სულ ეშმაკები გაგონდებათ! მე და ჩემი სატრფო კი მარტო ანგელოზებზე ვფიქრობთ. არა განო? (იცინის)

**განო.** (ლეონს ალერსით თმებზე ხელს გადაუსვავს.)

**მოხუცი.** (ღელავს) ლამაზი სიტყვა გაქვთ ყმაწვილო, მაგრამ... (წამოხტება და დაუყვირებს) [illegible]

ითვალთმაქცო, შე საზიზღარო! (უცბად მოიხსნის პარიკს, გამოიძრობს სერთუკიდან კუზს და თავის ხმით მრისხანეთ შესძახებს.) ლეონ ბერგ! გეყოს მაგდენი გაიძვერაობა!!...

**განო** (დაიწივლებს, ზეზე წამოხტება და ზიზღით ლეონს მიაშტერებს, რომელიც იმაზე ადრე წამოხტა და შიშისაგან გაშეშებული დარჩა.) ირაკლი, რა გინდა ჩვენგან?

**ირაკლი.** ჩემი და ჩემი ამხანაგების სისხლი უნდა ავიღო აი რა მინდა! (ორი ნაბიჯით უკან დაიწევს და რევოლვერს ესვრის. ლეონი დაეცემა. ირაკლი თავს უშველის. მუსიკა შესწყდება.)

III

**განო.** (ჯერ შეშლილივით დარბის დაჭრილი ბერგის გარშემო და ჰკივის) მიშველეთ... მიშველეთ! ვინა ხართ ქრისტიანები... მოჰკლეს, მოჰკლეს! (ქვითინით დაეცემა ლეონის გვამს)

(ასტყდება ჩოჩქოლი, მოისმის ჭყრიალების ხმა, თქაფათქუფით სცენაზე შემოცვივიან პოლიციელები, ხალხი. კითხულობენ: რა ამბავია? რა მოხდა? უპასუხებენ: კაცი მოჰკლეს კაცი! განო მიწაზე გდია, ლეონის გვერდით თავდავიწყებით ტირის და ჰკივის. თავს აქეთ იქით აწყვეტს, თმას იგლეჯს, ლოყებს იხოკს.

პოლიციელები შემოეხვევიან ლეონს მიაბრუნებენ. ლეონი მწარედ დაიკვნესებს, მერე ერთ-ერთ პოლიციელს მიიხმობს და სუსტის, მაგრამ მკაფიო ხმით უჩურჩულებს: ნომერი ოცდაერთი, ჯვრით!

**პოლიციელი.** (მოწიწებით მოუსმენს, მერე საჩქაროდ წამოხტება და ჰკვირის) ჩქარა საკაცე, საკაცე ჩქარა. (მერე გოროდოვოის რაღაცას უჩურჩულებს. ის ქუდ მოგლეჯილი გარბის და ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ბოქაული, მოჰყავს ექიმი და მოაქვს საკაცე.

ექიმი მზრუნველობით გასინჯავს ლეონს, ბრთხილად დააწვენინებს საკაცეზე და წყნარის ნაბიჯით გააქვთ საკაცე.

დიდის მოწიწებითა და პატივისცემით ბოქაული განოს მკლავში ხელს გაუყრის და სცენიდან გაჰყავს.

ფ ა რ დ ა

ნელ-ნელა ეშვება

ამ დროს კულისებიდან მოისმის განოს წივილ-კივილი და მოძახილი:

— რა კაცი მოჰკლეს რა კაცი! ვაიმე, ვაიმე!

**ია ეკალაძე.**

(დასასრული იქნება)

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი

ქართული კედლის კალენდარი

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში

ფასი 4 აბაზი.

ქ თფილისში დაარსდა

მელნის ქარხანა

„ალაროდია"

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,

ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ ორ გირვანქიან ბოთლებით. ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.

მელანი ასლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება ადგილობრივ თუ გაგზავნით.

მ ი ს ა მ ა რ თ ი: თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ გლეზისა.

**გრანული ექ. გლეზისა** მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ —სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

**გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვლს** საატფიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაკტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაკტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.